ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1069933

ნომერი: AR1187791

თარიღი : 29.12.2013

გაცემის თარიღი : 09.01.2014

გაცნობის თარიღი : 22.04.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანდარაშვილი პ/ნ 01030004510
- თბილისი რეხის III ქ. N 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის მერიის სსიპ _ არქიტექტურის სამსახურს #AR1187791 განცხადებით მომართა მოქ. თამაზ ზანდარაშვილმა და მოითხოვაქ. თბილისში, დავით ჯაბიძის ქუჩა #10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.11.10.004.034) მრავალფუნქციური (სავაჭრო–საოფისე, რესტორანი) შენობა-ნაგებობის განსათავსებლად მიწის ნაკვთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა. ვინაიდან, იგივე განაცხადზე მოქალაქემ გამოაგზავნა შეტყობინება, სადაც ითხოვს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას, სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება მოქ. თამაზ ზანდარაშვილის #AR1187791 განცხადების განუხილველად დატოვებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად დარჩეს მოქ. თამაზ ზანდარაშვილის #AR1187791 (29.12.2013) განცხადება ქ. თბილისში, დავით ჯაბიძის ქუჩა #10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.11.10.004.034) მრავალფუნქციური (სავაჭრო–საოფისე, რესტორანი) შენობა-ნაგებობის განსათავსებლად მიწის ნაკვთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.